საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ორგანო

№ 149 პარასკევი, იანვრის 19 (1) 1918 წ. № 149

# სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 50 კაპ., უკანასკნელზე—30 კაპ., ..ის გარეშე მიღ..ულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ—1 მ., უკან - 50 კ. ფასი სამგლოვიარო ..ადებისა ზომაზეა დამოკიდებული: 15×2 ღირს 8 მან., 20×2 ღირს 12 მან., 3 ხაზის შემდეგ სამგლოვიარო ..ცხადება მიიღება სტამბა „სახალხო საქმეში" (ქ. ..ვართქილაძესთან „ნადეჟდა") ბარათის ქუჩა, სახლი № 14 ..ღირება ერთი მანეთით მეტი.

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო საქმის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება: ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სახაზინო ქ., სარაჯიშვილის ს. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Сакмэ", поч. ящ. 190.

ტელეფონი 12—29

ფ ა ს ი 20 კ ა პ.

უკრაინის ცენტრალურმა რადამ უნივერსალი გამოსცა, რომლითაც უკრაინის სრულ დამოუკიდებლობას აცხადებს.—ფინლანდიასა და რუსეთს შორის ურთიერთობა მწვავდება: ფინლანდიის სეიმმა რუსეთის მთავრობას ულტიმატუმი წარუდგინა: ხელს ნუ უწყობთ ფინლანდიაში ანარქიის გაძლიერებას.—წინააღმდეგ შემთხვევაში ფინლანდია რუსეთს ომს უცხადებს.

შაბათს, 20 იანვარს, კუკიის წმ. ნინოს ეკლესიაში დანიშნულია ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი პორუჩ. 59 ლიუბლინის პოლკის

ლავრენტი იოსებ ძე ბერიძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს დაწუხრებულნი მშობლები განსვენებულის: მღ. იოსებ ბერიძე და სოფიო ბერიძისა, ძმები—ალექსანდრე და ვახტანგი, დები—ნატელია და ნინო შათირიშვილისა და სიძე—შალვა შათირიშვილი. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე. წირვის შემდეგ გადახდილი იქნება პანაშვიდი განსვენებულის საფლავზე ამავე ეკლესიის გალავანში. 85

ღრმად დამწუხრებულნი ნინო დურმიშხანის ასული მაქარაშვილი და მისი შვილები ირინე და მიშა, გიორგი დურმიშხანისძე და ელენე გიორგის ასული ჟურული შვილებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 10 იანვარს ს. დ. შამქორთან ჯავშნიან მატარებელში, დაიღუპა პირველის დაუვიწყარი და ძვირფასი შვილი, მეორეთა ძმა, ხოლო უკანასკნელთა დისწული ქართველ ცხენოსანთა ბატარეის პოდპორუჩიკი

ნიკუშა ილიასძე მაქარაშვილი.

პანაშვიდი ყოველდღე, საღამოს 6 საათზე, ქვაშვეთის ეკლესიაში. დაკრძალვა მოხდება გორის მაზრის სოფ. არბოში, წმ. გიორგის ეკლესიაში, საგვარეულო აკლდამაში. ქვაშვეთის ეკლესიიდან ვოგზალში გამოასვენებენ პარასკევს, 19 იანვარს. წირვა დაიწყება 10 ს 68

უზომოდ დამწუხრებულნი „ვოლნოოპრედელიაიუშჩები" ქართველთა სამთო ცხენოსან ბატარეისა აუწყებენ პოდპორუჩიკ

ნ. ი. მაქარაშვილის

ტრაღიკულად დაღუპვას თავიანთ მოვალეობის ასრულების დროს ჯავშნიან მატარებელზე. მიცვალებულის გამოსვენება დანიშნულია დღეს 19 იანვარს წირვის შემდეგ, რომელიც გადახდილ იქნება ქვაშვეთის წმ. გ. ეკლესიაში, სადგურზე სოფელ არბოში წასასვენებლად, სადაც იქნება დაკრძალული საგვარეულო აკლდამაში წირვა დაიწყება დილის 10 საათზე. 88

უზომოდ დამწუხარებულნი ოფიცრები ქართველთა სამთო ცხენოსან ბატარეისა ამით აუწყებენ პოდპორუჩიკ

ნ. ი. მაქარაშვილის

ტრაღიკულად დაღუპვას თავიანთ მოვალეობის ასრულების დროს ჯავშნიან მატარებელზე. მიცვალებულის გამოსვენება დანიშნულია დღეს 19 იანვარს წირვის შემდეგ, რომელიც გადახდილ იქნება ქვაშვეთის წმ. გ. ეკლესიაში, სადგურზე სოფელ არბოში წასასვენებლად. სადაც იქნება დაკრძალული საგვარეულო აკლდამაში, წირვა დაიწყება დილის 10 სათზე. 87.

ოფიცრები და ჯარისკაცნი ქართველთა სამთო ცხენოსან ბატარეისა მწუხარებით აუწყებენ ტრაღიკულად გარდაცვალებას თავიანთ მოვალეობის ასრულების დროს ჯავშნიან მატარებელზე პოდპორუჩიკ

ნიკოლოზ ილიასძე მაქარაშვილის

და „ვოლნოოპრედელიაიუშჩის

გ. ჩიკვაიძისას

გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, მეუღლე მიხეილ სოლომონისძე კასრაძე, შვილები მარიამ კასრაძე, დარეჯან სოზიაშვილისა, ეკატერინე ნათაძისა და მაზლიშვილები სოლომონი, მართა კასრაძეები და ნინა ამირიძისა, რომ ძვირფას და დაუვიწყარის

ეკატერინე ალექსის ასულის კასრაძის

გარდაცვალების ნახევარი წლის წირვა გადახდილი იქნება შაბათს, 20 იანვარს. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი ნაშუადღევის 12 საათზე კუკიის წმ. ნინოს ეკლესიაში. 82

ღრმად დამწუხრებულნი: დედა მარიამ სოლომონის ასული, მეუღლე მარიამ იოსების ასული, შვილები სოლიკო და ნინა ტუსიშვილები ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ამა წლის 16 იანვარს, საღამოს 4 საათზე. ს. ზემო ავჭალაში ვერაგულათ იქნა მოკლული

კალუშა ტუსიშვილი

დაკრძალვა მოხდება შაბათს, 20 იანვარს, დილის 10 საათზე სოფ. ზემო ავჭალაში. 84

თედო ღლონტის ლექცია

კვირას, 21 იანვარს პარტიულ კლუბში თ. ღლონტი წაიკითხავს საჯარო ლექციას

აგრარული კაპიტალიზმი

ადგილების ფასი 50 კ.—1 მან. 50 კაპ., ბილეთები იყიდება „სახალხო საქმის" კანტორაში და პარტიულ კლუბში ძველის სემინარიის შენობა.

1042 დასაწყისი სწორედ საღამოს 7 საათზე.

საჩქაროდ გვჭირდება ქართულ პოლკისთვის გამოცდილი საქმის მწარმოებელი და მწერალი, რომელნიც საკმაოდ მომზადებული უნდა იყვნენ საოჯახო ნაწილის საწარმოებლად. მსურველმა უნდა მიმართოს ნიკო ჩუმბურიძეს (?), ლერმონტოვის ქუჩაზე, № 27 საღ. 5—7 საათამდე. 78

## სახლის კომიტეტები

ვინაიდან საჭიროა მოხდეს მცხოვრებთა შორის ფართო პოპულიარიზაცია შესახებ სახახლო ორგანიზაციებისა, ტფილისის ქალაქის გამგეობა მიმართავს თხოვნით ყველა საზოგადოებრივ და მთავრობის დაწესებულებებს, საბჭოებს, პარტიულ და დემოკრატიულ ორგანიზაციებს, საპროფესიო კავშირებს, კოოპერატივებს და სხვა დაწესებულებათ დაეხმარონ მას ხალხის კომიტეტების პოპულიარიზაციის და ორგანიზაციის საქმეში.

სახლის კომიტეტებისთვის საჭირო მასალა მოიპოვება ყველა უბნების საბარათო ბიუროებში.

1041 ტფილისის ქალაქის გამგეობა.

## პურის ბარათების

მასსიურად ბოროტად მოხმარების გამო ტფილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს, რომ 16 იანვრიდან, ყველა, ვინც პურის ბარათი დაჰკარგა—იხდის ჯარიმას სულზე 2 მანეთს. პურის ბარათები დამკარგველებს მიეცემა გაზეთებში გამოცხადების და დაკარგვის დადასტურების შემდეგ.

გამოცხადება იბეჭდება ქალაქის გამგეობის ხარჯით.

სასურსათო ბარათების განახლება სრულიად აღარ შეიძლება.

1038 ტფილისის ქალაქის გამგეობა.

## ინსტრუქცია სახლის კომიტეტს

1. საჭიროა, რაც შეიძლება მალე (პირველ თებერვლამდე) მიიღოთ პური სახლის კომიტეტის მოთხოვნით, ამისთვის საჭიროა მოუწოდოთ მსურველთ შეერთდნენ ამ დღეებში ჯგუფ-ჯგუფად პურის მისაღებად.

2. საჭიროა იმის გამორკვევა, თუ რომელ ფურნედანაა სასურველი პურის მიღება და წარუდგინოთ ამის შესახებ საუბნო სასურსათო კომიტეტის შემდეგი შინაარსის განცხადება:

საუბნო სასურსათო კომიტეტს
. . . . . . სახლის კომიტეტისაგან . . . . .
უბნის . . . . . ქუჩ. № . . .

განცხადება.

პატივი გვაქვს გთხოვოთ მოახდინოთ სათანადო განკარგულება პურის მოსაცემად სახლის კომიტეტის მოთხოვნით . . . . . ფურნიდან . . . (რაოდენობა პურის) . . . . . (ამდენი და ამდენი კაცისთვის).

თავმჯდომარე . . .

3. საჭიროა მოთხოვნის უწყებების შეძენა საუბნო სასურსათო კომიტეტში.

4. ხელმოწერილი განცხადება უმჯობესია თვითონ გაგზავნოთ ფურნეში და მეორე დღეს მოითხოვოთ პური მთელი ჯგუფისათვის (იხ. სავალდებულო დადგენილება 3 და 4)

5. საჭიროა თვითოეულ ბინას საკუთარი ჩანთა ჰქონდეს ბინის ნომრით ან ბინის დამქირავებელის გვარით, რომელშიაც მეფურნე ჩააწყობს აღნიშნული ბინისთვის საჭირო პურს.

6. საჭიროა დაწესდეს რიგი ბინებისთვის, თუ როდის რომელი ბინის პატრონია (მორიგეობით) ვალდებული წავიდეს პურის მოსატანად და ეს წესი გამოკიდულ იქნას თვალსაჩინო ადგილას.

7. მორიგე ბინა ვალდებულია საღამოს, არა უგვიანეს 8 საათისა, მიიტანოს ჩანთა და ფული (ხურდა ფული, რომ მეფურნე არ დააბრკოლონ ფულის დახურდავებით).

8. სასურსათო ბარათების მიცემის დროს ყოველთვის საჭიროა თვალყური ადევნონ და შეამოწმონ ოჯახის შემადგენლობა თვითოეულ ბინის დამქირავლისა.

9. საუბნო საბარათო ბიურო ბარათებს მხოლოდ სახლის კომიტეტებს აძლევს.

10. სახლის კომიტეტები უდგენენ საუბნო საბარათო ბიუროს მოთხოვნების უწყებებს ბარათების მისაღებად და ამასთანავე ძველ გახმარებულ ბარათებს და სხვა აუცილებელ დოკუმენტებს.

ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება. 1043

ქართ. დრამ. | ქართული კლუბი | წარმოდგ. № 28

ორშაბათს, 22 იანვარს 1918 წ.

ტფ. ქართ. დრამ. დასის მიერ წარმოდგენილ იქნება:

ურიის სისხლი

4 მოქ. ერ. მირბახისა (?), თარგ. შალვა დადიანისა

მონაწილეობენ ქ-ნი დავითაშვილი ნ., ბ-ნი: გვარაძე ნ., ზარდალიშვილი ი., იმხნელი გ., იმედაშვილი ა., თარალაშვილი ი., ქავიძე ი., კობახიძე ი., მატარაძე ვ., შალიკაშვილი ვ., ცაციშვილი ნ.

დასაწყისი საღამოს 7-ნახევარ ს. რეჟ. ვ. შალიკაშვილი.

## სახლის კომიტეტები

სახლებმა, რომელთაც სახლის კომიტეტები აირჩიეს, უნდა დაუყოვნებლივ აუწყონ ამის შესახებ საუბნო სასურსათო კომიტეტს, რათა ისინი ჩაინიშნონ და სათანადო მოწმობაც მისცენ სურსათის მისაღებად.

სახლის კომიტეტების არჩევნები ხდება სახლში მცხოვრებთა ინიციატივით.

1918 წლის, 17 იანვარი.

1047 ტფილისის საგანგებო სასურსათო გამგეობა.

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთათვის განთავისუფლდა შემდეგი სტიპენდიები, რომელიც მიეცემა ქ. ტფილისის მკვიდრ მცხოვრებს:

**მოსკოვის უნივერსიტეტში**—ერთი სტიპენდია ს. ა. ამიროვის სახელობის, მედიკური ფაკულტეტის სტუდენტისათვის, განსაკუთრებით ეროვნებისა.

**პეტროგრადის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში**—პეტრე დიდის სახელობის სტიპენდია.

**რომელიმე უნივერსიტეტში**—ლორის მელიქოვის სახელობის ერთი სტიპენდია, ტფილისის გიმნაზიაში კურს-დამთავრებულისათვის; აბა მელიკის სახ. ერთი სტიპენდია უზნაურთათვის.

**პეტროგრადის ქალთა მედიკურ ინსტიტუტში**—ოლღა თედორეს ასულის სახ. სტიპენდია, 1 ან მე-2 ქალთა გიმნაზიაში კურს დამთავრებულისთვის.

**ტფილისის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში**—პეტროვ-იაგულოვის სახელობის, განსაკუთრებით ეროვნებისა და სარწმუნოების, და მ. ჯაბარის სახ. ეკონომიური განყოფილების მოსწავლესათვის.

თხოვნები, სამეტრიკო და სასწავლებლის დასრულების მოწმობებით მიიღება ქალაქის გამგეობის სახალხო განათლების განყოფილებაში (სერგიევის ქ. № 3) პირველ თებერვლამდე. 1046

დიდი ცირკი



ძმ. ეფიმოვებისა

მიხეილის პრ., მუშტ. ახლო, საკუთ. ახლად შეკეთ. კაპიტალური სახამთრო შენობა, ტელეფ. 19—00.

დღეს, 19 იანვარს გაიმართება

გრანდიოზული წარმოდგენა

არნახული პროგრამით—სახელად სპორტის საღამო. მონაწილეობს მთელი დასი. გასტროლები მოჯირითე ქალის ქ-ნ ხტრაკაისა, ძმ. იონაშებისა, მსროლელ ქალის ჟუიანისა, ჟდანოვისა და სხვ. 5 საინტერესო ჭიდაობა: 1. გუგისლანცი და სვობოდა, 2. დობრინია და აჰმედ პელევანი, 3. ზბიშკო ციგანევიჩი და იალოვი, 4. როლანდი და ვანო მედელაური, 5 ქილენი და ინდოელი ჯოე-მორა. დასაწყისი საღამოს 8 საათზე, თავდება 12 ს.

ანონსი: შაბათს, 20 იანვარს, გაიმართება გრანდიოზული წარმოდგენა, სახელად არტისტების დღესასწაული—წმინდა შემოსავალი მსახიობთა სასარგებლოდ გადაიდება. მალე გაიხსნება ზამთრის სეზონი. მზადდება მრავალი ახალი სანახაობა. 83

**ტფილისი, 19 იანვარი 1918 წ.**

**კანონის ფინაში**

კავკასიის პოლიტიკურ ცხოვრების ჰორიზონზე ახალი პოლიტიკური ძალა ისახება—სეიმი. განზრახულია სეიმი შესდგეს იმ დეპუტატებისაგან, რომელნიც სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრებისათვის იყვნენ არჩეულნი, ვინაიდან რუსეთის დამფუძნებელი კრება ამ ჟამად აღარ არსებობს. თუ სეიმის მოწვევის სიმართლე მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ რუსეთში დამფუძნებელ კრების მუშაობა ვერ მოხერხდა—რასაკვირველია—სეიმი თავის დანიშნულებას ვერ გაამართლებს, რადგან ყოველგვარი პოლიტიკური ორგანიზაცია უნდა არსებობდეს არა შემთხვევითი პირობების გამო, არამედ ადგილობრივ ეროვნულ ძალთაგანწყობილების სურვილების მიხედვით, არც ერთი ორგანიზაცია ვერ მოახერხებს საზოგადოებრივ ძალების ყურადღების მიპყრობას, თუ იგი თვით ხალხის პირმშო შვილი არ არის. ამ მხრივ სეიმი იმედს ვერ გაამართლებს და ისევე გაირიყება, როგორც დიდი ზეიმით შექმნილი ამიერკავკასიის კომისარიატი.

სინამდვილის სხვა მხარეც უნდა აღვნიშნოთ, რომელიც დიდ გავლენას მოახდენს სეიმზე. სეიმის წევრნი ამორჩეულნი იყვნენ რუსეთის დამფუძნებელ კრებისათვის და ხალხიც ამის მიხედვით ირჩევდა დეპუტატებს. აშკარაა, ეროვნულ დამფუძნებელ კრებისათვის არჩევნები სულ სხვა დროშით მოხდებოდა და ხალხიც სხვა გვარად გაანაწილებდა ხმებს. ეროვნულ პოზიციაზე დადგომა, ეროვნულ ძალების ნამდვილი თვითმოქმედება აუცილებელი პირობაა საზოგადოების ფართო წრეების დაკმაყოფილებისა და ამ ჟამად ყველა ორგანიზაციაც უპირველად ხალხის ფართო წრეების დაკმაყოფილებას უნდა აქცევდეს უმთავრეს

